

შპს „ჰიდროგეო“-ს ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „ჰიდროგეო“-ს

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „ჰიდროგეო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	01-01-20	31-12-20	შენიშვნა
აქტივები			
ფულადი სახსრები	637200	929877	3.1.
სავაჭრო მოთხოვნები	0	0	3.2.
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	0	0	3.3.
მარაგები	41441	41217	3.4.
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-	
გაცემული მოკლევადიანი სესხები	-	-	
სულ მოკლევადიანი აქტივები	678641	971094	
ძირითადი საშუალებები	274909	312546	3.5.
არამატერიალური აქტივები	0	0	
გაცემული გრძელვადიანი სესხები	-	-	
სულ აქტივები	953550	1283640	
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	30310	68445	3.8.
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	3.9.
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	3.10.
სასესხო ვალდებულებები	-	-	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	30310	68445	
სააქციო კაპიტალი	923240	1215195	
პარტნიორთა დამატებითი კაპიტალი	0	0	
დაუფარავი ზარალი	(0)	(0)	
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	953550	1283640	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.

დირექტორი  ამირან მამუკაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი


შპს "ჰიდროგეო"-ს

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგები

ქართულილარი	შენიშვნა	2,020
განგრძობითიოპერაციები:		
ამონაგები		5124922
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება		(3859600)
		1265322
საერთო მოგება		
მიწოდებისა და საწარმოო დანიშნულების ხარჯები		(14077)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(700768)
ცვეთა და ამორტიზაცია		(57709)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(102653)
საპროცენტო შემოსავალი		-
საპროცენტო ხარჯი		6577
		(390115)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება		-
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო		-
ოპერაციებიდან		-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		(0)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით		(390115)
დაბეგვრამდე		
მოგების გადასახადის ხარჯი		-
		(0)
წლის (ზარალი)/მოგება		
სხვასრული შემოსავალი		-
		(0)
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.

დირექტორი  ამირან მამუკაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ჰიდროგეო"-ს

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „ჰიდროგეო“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2,019	2,020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	2214957	5124922
გადახდილი გასამრჯელოები	(663727)	(700768)
გადახდილი სავაჭრო და სხვა ამგვარი ვალდებულებები	(1341906)	(2521398)
გადახდილი გადასახადები	(533171)	(551440)
სხვა ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(2214957)	(5124922)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	(0)	(0)
მიღებული პროცენტები	-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(0)	(0)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
აქციების ემისია/კაპიტალის ზრდა	0	0
გაცემული დივიდენდები	39629	12318
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	0	0
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	(0)	(0)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	0	0
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	0	0

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.

დირექტორი



ამირან მამუკაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ჰიდროგეო"-ს

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „ჰიდროგეო“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	სააქციო კაპიტალი	პარტნიორთა დამატებითი კაპიტალი	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულსაკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		684249		684249
მოგება (ზარალი) დასხვასრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	0-	(0)	(0)
მესაკუთრეთა შენატანი კაპიტალში	-	0	0-	0
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		923240	(0)	923240
მოგება (ზარალი) დასხვასრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-		(0)	(0)
მესაკუთრეთა შენატანი კაპიტალში	-	0	-	
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		1215195	(0)	1215195

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 27.09.2021 წ.

დირექტორი



ამირან მამუკაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2020 წლის ფინანსური ნაწილის განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადინაწილი

1.1 შპს „ჰიდროგეო“ ს.კ 427721334 წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა წყლის ჰაბურდილების დაბურღვა და წყლის დაგროვება-განაწილების მომსახურება. კომპანია დაფუძნდა გურჯაანის რაიონის საჯარო რეესტრის მიერ 2015 წლის 12 იანვარს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მისამართი: ქ. გურჯაანი, ნონეშვილის. #10.

საგადასახადო საიდენტიფიკაციო კოდი 427721334

1.2

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. გურჯაანი, ნონეშვილის ქ. #10

ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. გურჯაანი, ნონეშვილის ქ. #5

1.3. შპს-ს დირექტორია ამირან მამუკაშვილი (3/613001010101).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა წყლის ჰაბურდილების ბურღვა, წყლის დაგროვება, განაწილების მომსახურება

საწარმო თავის საქმიანობას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ტენდერებში ხელშეკრულების მიხედვით მოთხოვნების გათვალისწინებით. ლიცენზიების და ნებართვების საფუძველზე.

ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით. კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს უმეტესწილად კახეთის რეგიონის ლოკაციაზე, იშვიათად საქართველოს სხვა რეგიონებში.

1.5. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი საწარმოები.

1.6. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2020 წელს

შეადგენდა 41 კაცს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე მოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო

პოლიტიკა

2.1. 2019 წლის 01 იანვრიდან დაწყებული კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის) მიხედვით ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2 ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით ან უდაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში და განახორციელონ ინვესტიციები. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება-ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის

მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანები სწარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინა პირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრონაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირე ვადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის სწარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ აქვთ ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ

შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს დაკლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არა დისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების

(ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლევადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილ გადასახადებსა და წინასწარ გაწეულ ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერისას ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემოღობი ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს

აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არუკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა

შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირების ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და

შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არა ფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსოს ხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებული პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში

დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და მინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვით ღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო მომსახურების ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 20 წელი;

მანქანა-დანადგარები - 5-8 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 5-8 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5-10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული

სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 20%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე დამათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველაიურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა), არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2018-2019-2020 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს

შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31-12-19 წლის	ნაშთი 01-01-19 წლის
--	---------------------	---------------------

	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	252061	106072
ლარი საბანკო ანგარიშებზე	677816	531128
სულ:	929877	637200

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12. .2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.1 2.2018 მდგომარეობით
მომსახურებიდან მოთხოვნები ლარში	0	0
სულ:	0	0

მოთხოვნები წარმოქმნილია სამედიცინო-საკურორტო მომსახურებიდან, 31.12.2019 წლის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს გაუფასურებული დებიტორული მოთხოვნები.

3.3 ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები

	ნაშთი 31.12. .2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.1 2.2018 მდგომარეობით
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	0	0
სულ:	0	0

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31. 12.2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.1 2.2019 მდგომარეობით
დამხმარე და მეორადი მასალები	11211	43128
საწვავ-საცხები მასალები	7501	6952
ძირითადი მასალები	16251	1189
ხელსაწყო-იარაღები	6254	745
სულ:	41217	52014

აღნიშნული მარაგები შედგება საწარმოს სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის გასახარჯი საქონლისგან.

3.5 გრძელვადიანი აქტივები

შპს "ჰიდროგო"-ს

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ლარი	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობი ლობები	ოფისი ს აღჭურ ვილო ბა, ავეჯი და ინვენ ტარი	სხვა ამორტი ზებადი ძ.ს.	არამატე რიალუ რი აქტივებ ი	სულ
ისტორიული ღირებულება							
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	24000	0	250909				274909
შესყიდვები	-	0	0	0	-		0
გასვლები	-	(0)	-	-	-	-	(0)
ისტორიული ღირებულების ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24000	0	288546				312546
ცვეთა							
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-		(50181)	(0)	(0)	(0)	(50181)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(0)	(0)	(0)	(0)	(0)	(0)
გასვლები	-		-	-	-	-	
ცვეთის ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(0)	(57709)	(0)	(0)	(0)	(57709)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2019 წლის 1 იანვარს	24000	0	250909	0	0	0	274909
2019 წლის 31 დეკემბერს	24000	0	288546	0	0	0	312546

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.6. ბიოლოგიური აქტივები:

კომპანია არ ფლობს ბიოლოგიურ აქტივებს.

3.7. არამატერიალური აქტივები:

კომპანიის არამატერიალური აქტივები შედგება საბუღალტრო პროგრამა „ინფო ბუღალტერი“-სგან

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.1 2.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31. 12.2020 მდგომარეობ

შპს "ჰიდროგეო"-ს

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მომწოდებლებისგან მიღებული მომსახურების ვალდებულება	54008	68445
		-
სულ:	30310	68445

კომუნიკაციური და კომუნალური მომსახურების ღირებულება.

3.9. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12. 2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.1 2.2019 მდგომარეობით
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
სულ:	0	0

3.10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12. 2020 მდგომარეობით	ნაშთი 31.1 2.2019 მდგომარეობით
საწარმოს დასუფთავების მომსახურებები	0	0
სულ:	0	0

3.11. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2020 წელს კომპანიის ამონაგები ფაქტობრივად მთლიანად შედგებოდა წყლის
ჭაბურღილების ბურღვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებისაგან
5124922 ლარი.

3.12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ლაბორატორიის ხარჯები	4372
იჯარის ხარჯი	7500
კომუნალური ხარჯი	14478
ტრანსპორტირების ხარჯები	51263

შპს "ჰიდროგეო"-ს

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მივლინების ხარჯი	67770
საბანკო ხარჯი	6577
ავტომანქანის ხარჯები	1096
რეგისტრაციის ხარჯები	3286
საკანცელარიო ხარჯები	5502
საოფისე ხარჯი	905
საწვავის ხარჯი	134988
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	10254
ახალი სიმძლავრის ქსელზე მიერთების	3008
ჯამი	165616

მიწოდებისა და საწარმოო დანიშნულების ხარჯები

მიწოდების სხვა ხარჯი	1203
პირდაპირი კომუნალური ხარჯები	14478
პირდაპირი სახარჯი მასალის ხარჯი	1810579
პირდაპირი ხელფასი	700768
მომსახურეობის ხარჯი (ჰიპოლოქლორიდის გენერირების და სამუშაოების შესრულების)	811132
საგადასახადო ხარჯი	521440
ჯამი	3859600

მიწოდებისა და საწარმოო დანიშნულების ხარჯები

არასაოპერაციო ზარალი ძირ. საშუალების გასვლიდან	0
გადახდილი ჯარიმები და საურავები	0
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	0
ჯამი	0

3.13. სასამართლო დავები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო სასამართლოებში კომპანიას არ გააჩნდა მიმდინარე სასამართლო დავები.

3.14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 01 იანვრამდე პერიოდში კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.15. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2020 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 29 სექტემბერი.